სკოლის დასახელება	სსიპ. საჩხერის მუნიციპალიტეტის პ. იაშვილის სახელობის არგვეთის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ნადია ჭიღლაძე
ნაწყვეტი წიგნიდან	„დეტექტივი სკალდაგერი“- დერეკ ლენდი
სწავლების საფეხური/კლასი	საშუალო/კლასი X
მისაღწევი შედეგები	კითხვის პოპულარიზაცია
წინასწარი ცოდნა	გავიხსენებთ რა მიზნით იწერება ანდერძი, ვთხოვ გაიხსენონ ცნობილი ადამიანების ანდერძები, რას წერენ ისენი შვილებს ,შთამომავლობას, მომავალ თაობებს ... მოვასმენინებ ი. ჭავჭავაძის ანდერძს https://www.youtube.com/watch?v=AaE1Cvif-SE
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო	დრო - ორი გაკვეთილი
აქტივობა 1	**აქტივობის აღწერა** მოსწავლეებს ვთავაზობ როლურ თამაშს ვაცნობ თამაშის პირობებს და მათი სურვილის მიხედვით ვუნაწილებ როლებს. თქვენიდან ერთ-ერთი იქნებით გორდონი, რომელიც საკმაოდ მდიდარია ფლობთ ვილას საფრანგეთში , უძრავ- მოძრავ ქონებას, აქტივებს და ჰონორარებს , რადგან ხართ მწერალი. მაგრამ შვილი არ გყავთ. თქვენიდან ორი ბავშვი იქნებით გორდონის ძმები: ფერგუსი, რომელსაც ცოლი და ორი შვილი ჰყავს და მეორე ძმა, დეზმონი, რომელსაც ცოლი და 12 წლის ერთი ქალიშვილი , სტეფანი, ჰყავს . ასევე გვჭირდება ერთი მოთამაშე, რომელიც სტეფანის როლს შეასრულებს და გორდონის მეგობრის, სკალდაგერის, როლის შემსრულებელი ,რომელიც იქნება პროფესიით დეტექტივი. მოსწავლეებს თავიანთი სურვილების მიხედვით ავარჩევინებ როლებს და ვთხოვ დაასაბუთონ-რატომ ისურვებს ამა თუ იმ როლის შესრულება. **აქტივობის მიზანი** მოტივაციის აღძვრა, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება, შემოქმედებითი უნარების ხელშეწყობა

აქტივობა 2	**აქტივობის აღწერა** მოსწავლეებს ვაცნობ სიტუაციას: გორდონმაიცის, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია, ამიტომ წერს ანდერძს, გორდონის როლის შემსრულებელს ვთხოვ, გვითხრას, როგორ ანდერძს დაწერდა და როგორ გაანაწილებდა ქონებას. გორდონის „ძმებს“ „სკლდაგერს“ და „სტეფანს“ კი ვკითხავ, მათი აზრით, ვის რა ეკუთვნის გორდონის ქონებიდან? **აქტივობის მიზანი** ლოგიკური და მსჯელობის უნარების განვითარება, შემოქმედებითი უნარების ხელშეწყობა
აქტივობა 3	**აქტივობის აღწერა** ამის შემდეგ ვეუბნები: მე ვარ გორდონის ადვოკატი და ახლა წაგიკითხავთ გორდონის ანდერძს.(ანდერძი მექნება ამობეჭდილი და ისევე წავიკითხავ ნაწყვეტ- ნაწყვეტ, როგორც ამას ფერჯუიკი აკეთებს. თითო ნაწილის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ იმსჯელონ როგორი ადამიანია, გორდონი და ის პერსონჟი, რომელსაც ანდერძის ეს ნაწილი ეკუთვნის.? რატომ არის ეს ანდერძი მნიშვნელოვანი? ბოლოს კი ვთხოვ დაწერონ 5 წუთიანი ესე, რაზე დააფიქრათ ტექსტმა. მხოლოდ ამის მერე განვუმარტავ რომ ეს ანდერძი არის ნაწყვეტი დერეკ ლენდის წიგნიდან „დეტექტივი სკალდგერი“ და ვუთითებ წიგნის ნაწყვეტის ლინკს https://indd.adobe.com/view/e540ac59-7795-4434-92e0-225ebf34205b?fbclid=IwAR2DQZAgibKvOmqkyzMX5RNhMMTPhjNS9f3cuqMbk_a5s8q0OPgqcoMHwBI განვუმარტავ, რომ ყურადღებით წაიკითხონ, რომ შემდეგ გაკვეთილზე ვიმსჯელებთ, რატომ დაწერა ასეთი ანდერძი, გორდონმა....წიგნის წაკითვის შემდეგ კი გვექნება დისკუსია და შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში: „შეცვალე ჟანრი“ და „გამოეცი წიგნი ალტერნატიული ყდით“ **აქტივობის მიზანი** მოსწავლეებში ადამიანური ღირებულებებისა და ფასეულობების ხელშეწყობა